მემორანდუმი
ურთიერთთანამშრომლობის შესახებ

ქ. ჭიათურა 06 მაისი 2021 წელი

1. მემორანდუმის მხარეები:

1.1.	**GM:**	
1.1.1.	სახელწოდება (საფირმო), საიდენტიფიკაციო ნომერი:	შპს ჯორჯიან მანგანეზი (საიდენტიფიკაციო ნომერი: 230085797)
1.1.2.	იურიდიული მისამართი:	საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, მერაბ ალექსიძის ქუჩა N12, საოფისე ფართი N39 სართული 8, ბლოკი "ბ"
1.1.3.	საკორესპონდენციო (ფაქტობრივი) მისამართი:	საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, მერაბ ალექსიძის ქუჩა N12, საოფისე ფართი N39 სართული 8, ბლოკი "ბ"
1.1.4.	**წარმომადგენელი (ხელმომწერი პირი):**	
1.1.4.1.	სახელი და გვარი, თანამდებობა:	ნიკოლოზ ჩიქოვანი, სპეციალური მმართველი
1.1.5.	**საკონტაქტო მონაცემები:**	
1.1.5.1.	ელექტრონული ფოსტის მისამართი:	nc@gm.ge
1.2.	**კოოპერატორი:**	
1.2.1.	სახელწოდება (საფირმო), საიდენტიფიკაციო ნომერი:	შპს მანგანუმ ლოჯისტიკი (საიდენტიფიკაციო ნომერი: 416334149)
1.2.2.	იურიდიული მისამართი:	საქართველო, ქ. რუსთავი, მ. ასლანიკაშვილის ქ., სახლი 2, ბ. 15
1.2.3.	საკორესპონდენციო (ფაქტობრივი) მისამართი:	საქართველო, ქ. რუსთავი, მ. ასლანიკაშვილის ქ., სახლი 2, ბ. 15
1.2.4.	**წარმომადგენელი (ხელმომწერი პირი):**	
1.2.4.1.	სახელი და გვარი, თანამდებობა:	ნოდარი მიქაბერიძე, დირექტორი
1.2.5.	**საკონტაქტო ინფორმაცია:**	
1.2.5.1.	ელექტრონული ფოსტის მისამართი:	miqaberidzenodari@gmail.com
1.3.	**მერია:**	
1.3.1.	სახელწოდება (საფირმო), საიდენტიფიკაციო ნომერი:	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერია
1.3.2.	იურიდიული მისამართი:	ჭიათურა, ნინოშვილის ქუჩა #7
1.3.3.	საკორესპონდენციო (ფაქტობრივი) მისამართი:	ჭიათურა, ნინოშვილის ქუჩა #7
1.3.4.	**წარმომადგენელი (ხელმომწერი პირი):**	
1.3.4.1.	სახელი და გვარი, თანამდებობა:	გივი მოდებაძე, მერი
1.3.5.	**საკონტაქტო ინფორმაცია:**	
1.3.5.1.	ელექტრონული ფოსტის მისამართი:	chiatura.contact@chiatura.gov.ge
1.4.	**დეპუტატი:**	
1.4.1.	სახელი, გვარი:	პაატა კვიჟინაძე (საჩხერე-ჭიათურა-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი)
1.4.2.	იურიდიული მისამართი:	ჭიათურა, ნინოშვილის ქ. #7
1.4.3.	საკორესპონდენციო (ფაქტობრივი) მისამართი:	ჭიათურა, ნინოშვილის ქ. #7
1.4.4.	**საკონტაქტო ინფორმაცია:**	
1.4.4.1.	ელექტრონული ფოსტის მისამართი:	chiaturadeputatisbiuro@gmail.com

2. მემორანდუმის მიზანი და საგანი

2.1. წინამდებარე **მემორანდუმის** მიზანია **მხარეებმა** გამოხატონ მზაობა, **მემორანდუმით** განსაზღვრული პროექტების და შესასრულებელი სამუშაოების განხორციელებაზე/შესრულებაზე, განისაზღვროს **მხარეთა** ინდივიდუალური ან/და საერთო პასუხისმგებლობის საკითხები, პროექტებისა და სამუშაოების შესრულების ვადები, **მხარეებს** შორის ურთიერთთანამშრომლობისა და კომუნიკაციის ფორმები და სხვა წესები.

2.2. **მხარეები** თანხმდებიან, რომ მათ საერთო მიზანს წარმოადგენს ქვემოთ მოცემული პროექტების, საკითხების განხორციელება/შესრულება.

2.3. **<u>დაზიანებული ტერიტორიების რეკულტივაცია</u>**

2.3.1. გათვალისწინებით იმისა რომ **GM**-სა და **კოოპერატორს** გააჩნიათ გარკვეული ტერიტორიების რეკულტივაციის ვალდებულება, **GM**-მა განახორციელა იმ ტერიტორიების სრული აღწერა, რომლებიც დამუშავების პროცესში წარმოადგენენ დარღვეულ ნიადაგს და რომელიც საჭიროებს რეკულტივაციას (შემდგომში - **სარეკულტივაციო ტერიტორია**). აღნიშნული აღწერის შედეგადაც დადგინდა, რომ:

2.3.1.1. **სარეკულტივაციო ტერიტორიის** ჯამური ფართობი შეადგენს 475.6 ჰა.

2.3.1.2. **სარეკულტივაციო ტერიტორია** განლაგებულია ჭიათურის მასშტაბით 5 ძირითად ზეგანზე;

2.3.1.3. **კოოპერატორის** მიერ რეკულტივაციას დაქვემდებარებული **სარეკულტივაციო ტერიტორიამ** შეადგინა საერთო **სარეკულტივაციო ტერიტორიების** დაახლოებით 85 %.

2.3.2. **კოოპერატორმა** სახელშეკრულებო დონეზე იკისრეს/იკისრებენ ვალდებულებები/ვალდებულებებს, **სარეკულტივაციო ტერიტორიის** რეკულტივაციის წესებისა და პირობის შესახებ, შესრულების ვადებზე, ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ შესაბამისი პასუხისმგებლობის განმსაზღვრელ და სხვა პირობებზე.

2.3.3. **GM** და **კოოპერატორი** იღებენ ვალდებულებას საკუთარი ვალდებულებების ნაწილში რეკულტივაცია განახორციელონ **მემორანდუმზე** თანდართული გრაფიკის შესაბამისად.

2.4. **<u>ახალი გამამდიდრებელი ქარხნის საწარმოო პროცესში წარმოქმნილი ხმაური</u>**

2.4.1. ახალი გამამდიდრებელი ქარხნის საწარმოო პროცესების მიმდინარეობისას გამოიყოფა საწარმოო პროცესისთვის დამახასიათებელი ჩვეული ხმაური. ამასთან, აღნიშნული ხმაურის დონე შესაბამისობაშია **კანონმდებლობით** დადგენილ მოთხოვნებთან, თუმცა ავარიონის მოსახლეობის განცხადებით იქმნება გარკვეული სახის დისკომფორტი, შესაბამისად **GM**-ის მიერ კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის ნაწილში შესრულებულია გარკვეული სახის სამუშაოები, კერძოდ მოკვლეულ იქნა ხმაურთან დაკავშირებული საკითხები და მისი გამომწვევი მიზეზები, შესაბამისად შემუშავებულ იქნა ხმაურის დამხშობი კასეტები, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ხმაურის მნიშვნელოვნად შემცირება.

2.4.2. **GM**-ის მიერ განხორციელებულია აღნიშნული კასეტების ინსტალაციის სამუშაოები და **GM** იღებს ვალდებულებას მათი შესაბამისი დანიშნულებისამებრ ტესტირება და გამოყენების დადასტურება უზრუნველყოს მემორანდუმის ხელმოწერიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში არაუგვიანეს *<u>2021 წლის 6 ივნისისა</u>*. ამავდროულად, **GM**-ი დამატებით იღებს ვალდებულებას პერმანენტულად გაუწიოს მონიტორინგი ახალი გამამდიდრებელი ქარხნის მიერ გამოწვეულ ხმაურთან დაკავშირებულ საკითხებს.

2.5. **<u>გზის საფარის მოწესრიგება</u>**

2.5.1. **GM**-ის მიერ ცენტრალური დამყვანი ფაბრიკის (შემდგომში - **ცდფ**) მიმდებარე ტერიტორიაზე მოწყობილ იქნა (მოიხრეშა) მოსახლეობის საცხოვრებელ ადგილებამდე მიმავალი გზა ჯამურად 852 მ. სიგრძით.

2.5.2. **GM**-ის მიერ დამატებით მოწყობილ იქნა (მოიხრეშა) დამატებითი გზა 720 მ. სიგრძით (**ცდფ**-დან სოფელი მორგვეთის მიმართულებით გზა), რომელიც უზრუნველყოფს, რომ საწარმოო პროცესებში ჩართულმა სატრანსპორტო საშუალებებმა, საწარმოო პროცესების შესრულებისას ნაწილობრივ იმოძრაონ აღნიშნულ ალტერნატიულ გზაზე.

2.5.3. მიუხედავად იმისა, რომ **GM**-ის მიერ სრულად დასრულებულია მის საკუთრებაში არსებული გზის მოწესრიგება, მოსახლეობისთვის კვლავ პრობლემური რჩება **ცდფ**-დან ე.წ. სანაყაროსკენ მიმავალი გზის მოწესრიგება.

2.5.4. **მერია** და **GM** იღებენ ვალდებულებას **მემორანდუმის** ხელმოწერიდან 120 *<u>(ას ოცი) კალენდარული დღის ვადაში</u>* უზრუნველყონ მორგვეთისა და 25-ის მიმართულებით არსებული გზის საფარის მოწესრიგება, კერძოდ, **GM** *<u>60 (სამოცი) კალენდარული დღის</u>* ვადაში უზრუნველყოფს აღნიშნული გზის საფარის ე.წ. „მოხრეშავს“, ხოლო **მერია**, აღნიშნული მოხრეშვიდან *<u>60 (სამოცი) კალენდარული დღის</u>* ვადაში უზრუნველყოს ასფალტის საფარის დაგება.

2.6. **<u>ქარხნების მოწყობა ზეგნებზე</u>**

2.6.1. **GM** შეიმუშავებს და წარმართავს საწარმოო პოლიტიკას იმგვარად, რომ გადამამუშავებელი ქარხნები განთავსდეს და სამუშაო პროცესი წარიმართოს ზეგნებზე.

2.6.2. ახალი ქარხნების ადგილმდებარეობა, საწარმოო სიმძლავრეები და სხვა აუცილებელია საკითხები დამოკიდებულია მოსაპოვებელი მანგანუმის მადნის განთავსების ადგილებზე.

2.6.3. **GM**-ის მიერ *2020 წლის დეკემბრის თვეში* დასრულდა ჭიათურის საბადოს განვითარების 5 წლიანი გეგმის მომზადება. აღნიშნული გეგმის მომზადების ფარგლებში განხორციელდა ჭიათურის საბადოს შესახებ არსებული ყველა ფონდური მასალის გაციფრულება და მათი ერთიან ელექტრონულ სისტემაში ინტეგრაცია, მომზადა შესაბამისი ინტერაქტიული რუკაც.

2.6.4. მიმდინარე ეტაპისთვის მიმდინარეობს საბადოს განვითარების გეგმის მომზადება სალიცენზიო ვადის ბოლომდე 2046 წლამდე პერიოდზე, ხოლო მას შემდეგ რაც დასრულდება აღნიშნული გეგმის მომზადება **GM** იღებს ვალდებულებას მოამზადოს კონკრეტული გეგმა, თუ რამდენი ქარხნის აშენება და მათი ექსპლუატაციაში გაშვება არის შესაძლებელი.

2.7. **კომპენსაცია**

2.7.1. გასულ წელს დაიწყო და მიმდინარე წელს აქტიურ ფაზაშია გადასული შუქრუთის მცხოვრებლებთან მიმართებით, კომპენსაციის განსაზღვრისას ე.წ ჩანაცვლების მოდელის (შემდგომში - **ჩანაცვლების მოდელი**) გამოყენება, რომელიც დღეისათვის წარმატებით განხორციელდა შუქრუთის მოსახლეობის დაახლოებით ნახევართან მიმართებით, **ჩანაცვლების მოდელმა** დადებითი გამოხმაურებები ჰპოვა, რადგან მორგებულია, როგორც სამუშაოების განმახორციელებელი კომპანიის ინტერესებზე, ასევე მოსახლეობის ინტერესების დაცვაზე.

2.7.2. გათვალისწინებით ზემოაღნიშნულისა და იმისა რომ **ჩანაცვლების მოდელი** აღმოჩნდა კომპენსაციის საკითხების მოგვარების ეფექტური, ქმედითი და შედეგზე ორიენტირებული გზა **GM** მიმართავს ყველა შესაძლო საშუალებას, რათა **ჩანაცვლების მოდელი** აქტიურად გამოიყენოს კომპენსაციის საკითხების განსაზღვრისა და მოგვარებისას.

2.8. **კოოპერატორის მიერ სამუშაოების წარმოების სტრატეგია**

2.8.1. **GM**-ის მიერ შესაბამისი ზედამხედველობის გაძლიერების თვალსაზრისით მზადდება სტრატეგია, რომლის მიხედვითაც მანგანუმის მადნის მოპოვებასა და რეკულტივაციის სამუშაოებთან მიმართებით ინერგება კონტროლის ახალი მექანიზმები და რომელ ახალ პირობებთან შესაბამისობაშიც უნდა აწარმოოს სამუშაოები **კოოპერატორმა.**

2.8.2. **კოოპერატორი** იღებს ვალდებულებას *2021 წლის ბოლომდე*, მისი სამუშაოების წარმოება სრულად შესაბამისობაში იქონიოს ახალ წესებთან და პირობებთან და დამატებით უზრუნველყოს ყველა სახელშეკრულებო თუ სხვა სახის პროცედურული საკითხების დასრულება.

2.9. **შლამ სადენის მოწყობა, შლამების დასაწყობება და შლამების გადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობა**

2.9.1. გათვალისწინებით იმისა რომ **GM**-თვის ძალიან მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს მდინარე ყვირილას გასუფთავების საკითხი, რაც თავის თავში გულისხმობს რომ მდინარე ყვირილაში აღარ ჩაედინებოდეს ის მასა, რომელიც იწვევს მის დაბინძურებას, **GM**-ის მიერ ხორციელდება სხვადასხვა სახის ქმედითი მექანიზმების შემუშავება. აღნიშნულ საკითხებთან არის დაკავშირებული მათ შორის შლამ სადენის მოწყობა, შლამების დასაწყობება და შლამების გადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობა.

2.9.2. **GM** იღებს ვალდებულებას მდინარე ყვირილას გასუფთავებასთან დაკავშირებული სამუშაოების, რაც გულისხმობს შლამ საცავისა და შლამ სადენის მოწყობის სამუშაოებს, დაწყება უზრუნველყოს *2021 წლის 1 ივლისს*, ხოლო მის დასრულება - *2022 წლის 1 ივლისამდე*, ამასთან, **GM** იღებს ვალდებულებას *2022 წლიდან* დაიწყოს შლამების გადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობა, ხოლო **კოოპერატორი** იღებს ვალდებულებას **მემორანდუმის** ხელმოწერიდან *2 (ორი) საანგარიშო წლის* განმავლობაში უზრუნველყოს, რომ მდინარე ყვირილაში აღარ ჩაედინებოდეს შლამები.

2.10. **ახალი გადამამუშავებელ ქარხნისთვის ნედლეულის სპეციალური მილებით მიწოდება**

2.10.1. **GM**-ის მიერ დაგეგმილია უზრუნველყოს ახალი გამამდიდრებელი ქარხნისთვის ნედლეულის სატვირთო, ავტო გადაზიდვის ალტერნატიული გზით მიწოდება.

2.10.2. აღნიშნული მიწოდების ახალი რეჟიმის განხორციელებისთვის **GM**-ის მიერ, წინამდებარე **მემორანდუმის** ხელმოწერიდან *1 საანგარიშო წლის* განმავლობაში წარმოდგენილი იქნება ის გეგმა-პროექტები, რომლის მიხედვითაც უნდა განხორციელდეს ნედლეულის მიწოდების ალტერნატიული გზის პროექტის შესრულება, რის შემდეგადაც აღნიშნული გეგმა-პროექტების შედეგების მიხედვით *2023 წლის მარტამდე* განხორციელდება შესაბამისი სამუშაოების წარმოება.

2.11. **<u>დასუფთავების საკითხები</u>**

2.11.1. საწარმოო პროცესების შესრულება ბუნებრივად იწვევს გარკვეული სახის დაბინძურების წყაროების შექმნას, შესაბამისად **GM**-ის მიერ იდენტიფიცირებულია დღეისათვის არსებული ის ადგილები, რომლებზეც ხდება დაბინძურება.

2.11.2. **GM** და **კოოპერატორი**, აგრეთვე ყველა ის სუბიექტი, რომელიც მონაწილეობას იღებს ნედლეულის ავტო, საგზაო გადაზიდვის გზით მიწოდებაში *<u>2021 წლის 1 ივლისისთვის</u>* უზრუნველყოფენ, რომ საწარმოო პროცესების ნებისმიერ ეტაპზე, მათ სარგებლობაში არსებული ყველა ავტო სატრანსპორტო საშუალება იყოს ისეთ მდგომარეობაში, რომ გამოირიცხოს დაბინძურების პროცესები, მათ შორის **GM** იღებს ვალდებულებას:

2.11.2.1. განახორციელოს ე.წ. ცოფის ხიდისა და გადმოსასვლელის საფარის რესტავრაცია;

2.11.2.2. მოაწყოს სარეცხი **ცდფ**-დან გამომავალ ტერიტორიაზე;

2.11.2.3. მოაწყოს შლამ დაშვების სისტემა პეროფზე.

2.11.3. დასუფთავების საკითხების მოგვარების მიზნებისთვის **მერია** იღებს ვალდებულებას მემორანდუმის ხელმოწერის მომენტისათვის იდენტიფიცირებულ დაბინძურების ადგილებზე, აგრეთვე სამომავლოდ გამოვლენილ იმ ადგილებზე, რომელიც არის დაბინძურების წყარო, საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს სათვალთვალო კამერების მონტაჟი, რათა უზრუნველყოფილ იქნას იმ პირების იდენტიფიცირება, რომელთა მიერაც ხორციელდება დაბინძურების საკითხების წარმოშობა.

2.12. **<u>ჭიათურის ტერიტორიაზე ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის პროექტები</u>**

2.12.1. **GM** კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის ნაწილში მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ჭიათურის მუნიციპალიტეტის, როგორც ტურისტული ადგილის განვითარებას, შესაბამისად **GM** იღებს ვალდებულებას მიმართოს ყველა ღონეს რათა ჭიათურაში უზრუნველყოფილი იყოს ტურისტული პროექტების ხელშეწყობა.

2.12.2. **GM**-ის ხელშეწყობით უკვე განხორციელდა ჭიათურაში, სოფელ სვერში საცოცი კედლის მოწყობა.

2.12.3. **GM**-ის ხელშეწყობით დაგეგმილია წერეთლის მაღაროს და ძუძუანას მღვიმეს ტურისტულ ობიექტად გადაქცევა. აღნიშნული საპროექტო სამუშაოების დაწყება დაგეგმილია უახლოეს მომავალში და დასრულდება *<u>2021 წლის ივნისში</u>*. აღნიშნული საპროექტო სამუშაოების წარმოდგენიდან *<u>1 თვის განმავლობაში</u>* გაიმართება შეხვედრები, მოლაპარაკებები, რომელზეც დაგეგმილი იქნება სამშენებლო სამუშაოების დაწყებისა და დასრულების ვადები.

2.12.4. გათვალისწინებით იმისა, რომ როგორც წერეთლის მაღაროს, ასევე ძუძუანას მღვიმეს ფუნქციონირებისთვის მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს მათთან დამაკავშირებელი კომუნიკაციებისა და მისასვლელი გზის გაყვანა, **მერია** იღებს ვალდებულებას, მემორანდუმის ხელმოწერიდან *<u>1 (ერთი) სანგარიშო წლის</u>* განმავლობაში უზრუნველყოფს მისასვლელი გზისა და ყველა საჭირო კომუნიკაციების პროექტირება, რათა უზრუნველყოფილ იქნას აღნიშნული პროექტების განხორციელება. ასევე, **მერია** დამატებით იღებს ვალდებულებას პროექტის განმახორციელებლებს აღმოუჩინონ ყველა სახის დახმარება შემჭიდროვებულ ვადებში, რაც შეიძლება გულისხმობდეს შესაბამისი ნებართვებისა თუ სხვა სახის თანხმობების გაცემას, რათა უზრუნველყოფილ იქნას პროექტების დაგეგმილი სახით შესრულება.

2.13. **<u>მულტიფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრი</u>**

2.13.1. **GM**-ის ხელშეწყობით ჭიათურის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის ყოფილ შენობაში, მოეწყობა მულტიფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრი, რომლის შესახებაც *<u>2021 წლის 4 მარტს</u>* გაიმართა პრეზენტაცია და რომელიც გააერთიანებს რამდენიმე მნიშვნელოვან სივრცეს, მათ შორის:

2.13.1.1. მხარეთმცოდნეობის მუზეუმს, რომელიც ამჟამად არასტანდარტულ გარემოშია განთავსებული და არახელსაყრელი პირობების გამო ექსპონატების მხოლოდ ნაწილია გამოფენილი;

2.13.1.2. ჭიათურის ისტორიის მუზეუმს, სადაც თავმოყრილია ის საკითხები რაც დაკავშირებულია ჭიათურის ისტორიასთან: მანგანუმის მოპოვება, თეატრისა და მედიცინის ისტორია, ასევე გამოიფინება სხვა მიმართულებების ამსახველი უნიკალური მასალა;

2.13.1.3. ფოტოგრაფიის მუზეუმს;

2.13.1.4. საკონფერენციო სივრცეს;

2.13.1.5. ტრენინგების სივრცეს;

2.13.1.6. საბიბლიოთეკო სივრცეს;

2.13.1.7. საგამოფენო დარბაზს;

2.13.1.8. პროფესიულ სასწავლო ცენტრს - „ჯმ აკადემია";

2.13.1.9. ახალგაზრდული სკაუტების ცენტრს, რომელიც ჭიათურის ახალგაზრდებისთვის პერმანენტულად განახორციელებს ახალგაზრდულ პროექტებს;

2.13.1.10. ტურისტული მიმართულების სივრცეს;

2.13.1.11. ბიზნესის ხელშეწყობის ცენტრს, სადაც სტარტაპ ბიზნესს შესაძლებლობა ექნება წარადგინოს საინტერესო წინადადებები, შერჩეულ პროექტებს და გამარჯვებულს შესაბამის დახმარებას აღმოუჩენს და ხელს შეუწყობს **GM**.

2.13.2. ზემოთ მოცემული პროექტების შესახებ საპროექტო სამუშაოების მომზადება განხორციელდება *2021 წლის ივლისამდე*, ხოლო პროექტების განხორციელება - *2022 წლის აპრილამდე*. ამასთან, შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში ზოგიერთი პროექტი შესაძლოა დასრულდეს ვადაზე ადრეც, მათ შორის უკვე დაგეგმილია, რომ ჯმ აკადემია მუშაობას დაიწყებს *2021 წლის 1 აგვისტოდან*, ახალგაზრდული სკაუტების ცენტრი - *2021 წლის 1 ივნისიდან*, სკოლის დირექტორთა და პედაგოგთა გადამზადების კურსი - *2021 წლის 1 სექტემბრიდან*, გიდების სკოლა - *2021 წლის 20 სექტემბრიდან*.

2.13.3. მიმდინარე ეტაპზე დაგეგმილი და განხორციელებული პროექტებია:

2.13.3.1. პროექტი „მეგზური" პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან ერთად;

2.13.3.2. ფოტოგრაფიის სკოლა.

2.13.4. **მერია** იღებს ვალდებულებას გამოყოს ყველა აუცილებელი ფინანსური თუ სხვა სახის რესურსები მულტიფუნქციურ ცენტრში განსათავსებელი მუზეუმების ექსპლუატაციისთვის, ხოლო **GM** იღებს ვალდებულებას სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელების მიზნებისთვის მულტიფუნქციური ცენტრის შენობა სარგებლობის უფლებით გადასცეს **მერიას**.

2.14. **სასოფლო-სამეურნეო საკითხების მხარდაჭერის პროექტები**

2.14.1. სასოფლო სამეურნეო პროექტების მხარდაჭერისთვის **GM**-ის მიერ დაგეგმილია რამდენიმე პროექტის განხორციელება და **GM**-ის პირველ პარტნიორს აგრო პროექტებში წარმოადგენს კომპანია იმერეთი აგრო.

2.14.2. პარტნიორების შეთავაზების არსებობისას აგრო პროექტებს შორის განსაზღვრულია **სარეკულტივაციო ტერიტორიების** (მაგ. საშევარდნო, ე.წ. 27-ე) აგრო მიზნებისათვის გამოყენება, რასთან დაკავშირებითაც **GM** იღებს ვალდებულებას სამუშაოების დაწყება განახორციელოს *2021 წლის 30 მაისიდან.*

2.14.3. **GM**-ის მიერ კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში უკვე განხორციელებულია სასოფლო-სამეურნეო საკითხების მხარდაჭერის სამუშაოები და იღებს ვალდებულებას ამ და სხვა აგრო პროექტების შესახებ დეტალური ინფორმაციის წარმოდგენა განახორციელოს *2021 აგვისტოს თვეში*, რომლის შემდეგადაც წარმოდგენილი იქნება დამტკიცებული პროექტების განხორციელების გეგმები და ვადები.

2.15. **ჭიათურის მუნიციპალიტეტის განვითარების ხელშეწყობა, ახალი ობიექტების შექმნა**

2.15.1. **მხარეები** აცხადებენ რომ ისინი მუდმივად იზრუნებენ ჭიათურის მუნიციპალიტეტის განვითარებაზე, მათ შორის წარმოადგენენ სხვადასხვა წინადადებებს და პროექტებს ახალი, სხვადასხვა დანიშნულებების დაწესებულებების (მათ შორის სასტუმრო, გასართობი დაწესებულებები, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრები, ჩოგბურთის კორტები, ეშმაკის ბორბალი და ა.შ.) აშენება, შექმნასთან დაკავშირებით.

2.15.2. **მერია** იღებს ვალდებულებას, წინამდებარე **მემორანდუმის** ხელმოწერიდან *60 (სამოცი) კალენდარული დღის* ვადაში, მოამზადოს გასართობი ცენტრის (ეშმაკის ბორბალი), რეკრეაციული ზონის და სკვერის მოწყობის (ქ. ჭიათურა, ერისთავის ქუჩა 2-ში (ყოფილი პიონერთა სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე) და ჩოგბურთის მუზეუმის პროექტები, ხოლო **GM** იღებს ვალდებულებას 60 (სამოცი) დღის განმავლობაში უზრუნველყოს აღნიშნული პროექტების ფინანსური უზრუნველყოფა და განხორციელოს სამშენებლო სამუშაოები. აგრეთვე, **მერია** იღებს ვალდებულებას 60 (სამოცი) დღის ვადაში მოიძიოს შესაბამისი მიწის ნაკვეთი **GM**-თან შეთანხმებით ჩოგბურთის კორტების მოსაწყობად, მოამზადოს პროექტი, ხოლო **GM** იღებს ვალდებულებას 60 (სამოცი) დღის ვადაში, მომზადებული პროექტის შესაბამისად აწარმოოს შესაბამისი სამშენებლო სამუშაოები და განახორციელოს პროექტის ფინანსირება.

3. მხარეთა განცხადებები და გარანტიები

3.1. თითოეული **მხარე** აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ:

3.1.1. **მემორანდუმის** დადების/ხელმოწერის დროისთვის არიან ქმედუნარიანი (მათ შორის **კანონმდებლობით** დადგენილი წესით შექმნილი).

3.1.2. **მემორანდუმის** დადების/ხელმოწერის და შესრულებისთვის საჭირო უფლებამოსილების მიზნით მათ მიერ მოპოვებულია ყველა აუცილებელი თანხმობა, ნებართვა.

3.1.3. **მემორანდუმი** იდება მათ მიერ ნებაყოფლობით, სხვა **მხარის** ან მესამე პირების მხრიდან მათ მიმართ ძალადობის, მუქარის, მოტყუების, შეცდომის ან/და რაიმე სხვა გარემოების გამოყენების გარეშე.

4. კომუნიკაცია მხარეთა შორის

4.1. **მხარეთა** შორის ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას და უნდა განხორციელდეს **მემორანდუმით** გათვალისწინებულ საკონტაქტო რეკვიზიტებზე.

4.2. **მხარისთვის** გაგზავნილი წერილობითი შეტყობინება მას შეიძლება მიეწოდოს პირადად ან გაეგზავნოს კურიერის (მათ შორის, საერთაშორისო კურიერის) ან საფოსტო გზავნილის (მათ შორის, დაზღვეული წერილის) საშუალებით. ოპერატიულობის მიზნით, დასაშვებია შესაბამისი **მხარისთვის** შეტყობინების მიწოდება ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაგზავნის გზით, იმ პირობით, რომ შესაბამისი **მხარის** მოთხოვნის შემთხვევაში, ამგვარი მოთხოვნიდან გონივრულ ვადაში მას წარედგინება შეტყობინება წერილობითი ფორმითაც.

5. ფორს-მაჟორი

5.1. **მემორანდუმის** მიზნებისთვის ფორს-მაჟორულ გარემოებად ჩაითვლება გარემოება ან მოვლენა, რომელიც ცდება **მხარეთა** კონტროლის ფარგლებს და რომლის დადგომაც **მემორანდუმით** გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას შეუძლებელს ხდის და რომელიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება: სტიქიური უბედურებებით, ხანგრძლივი მასშტაბური გაფიცვებით, რომელიც გრძელდება ხანგრძლივი დროით, საბოტაჟით და სხვა სახის შეფერხებით, სამოქალაქო არეულობით, ომით, ან სხვა სამხედრო, ტერორისტული მოქმედებებით, ბლოკადით, აჯანყებით, მიწისძვრებით, ზვავებით ან სხვა მსგავსი მოვლენით, რომელიც არ ექვემდებარება იმ **მხარის** კონტროლს, რომელზეც ასეთი ფორს-მაჟორული მოვლენა ახდენს გავლენას და რომლის თავიდან აცილება ასეთ **მხარეს** არ შეეძლო.

5.2. ფორს-მაჟორის მოქმედების განმავლობაში არც ერთი **მხარე** არ აგებს პასუხს **მემორანდუმით** ნაკისრი ვალდებულებების სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის.

5.3. **მხარე**, რომლსაც დაუდგა ფორს-მაჟორი, ვალდებულია გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა, აცნობოს სხვა **მხარეებს** შესაბამისი ფორს-მაჟორული გარემოებების და მათი სავარაუდო ხანგრძლივობის შესახებ, წინაღმდეგ შემთხვევაში იგი კარგავს უფლებას დაეყრდნოს ფორს-მაჟორის არსებობას, როგორც პასუხისმგებლობიდან გათავისუფლების საფუძველს.

6. პრეტენზიები და დავები

6.1. **მემორანდუმიდან** გამომდინარე პრეტენზიები **მხარეებმა** შეიძლება ერთმანეთს წაუყენონ წერილობით ან/და ზეპირად. პრეტენზიის მიმღები **მხარე** ვალდებულია პრეტენზიის მიღებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში მთლიანად ან ნაწილობრივ დააკმაყოფილოს წამოყენებული პრეტენზია, ან წერილობით ან/და ზეპირად აცნობოს მეორე **მხარეს** მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

6.2. **მემორანდუმიდან** გამომდინარე ნებისმიერი დავა წყდება მოლაპარაკების გზით. დავის მოუგვარებლობის შემთხვევაში **მხარეები** მიმართავენ საქართველოს სასამართლოებს საქართველოს კანონმდებლობის გამოყენებით.

7. მემორანდუმის ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

7.1. **მემორანდუმი** ძალაში შედის **მხარეთა** მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **მხარეთა** მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

8. სხვა დებულებები

8.1. თითოეული **მხარე** აცხადებს და გამოთქვამს მზაობას, რომ ყოველ კვარტალურად გამართონ შეხვედრები და განახორციელონ წინამდებარე **მემორანდუმით** გათვალისწინებული საკითხების შესრულების მონიტორინგი.

8.2. თითოეული **მხარე** აცხადებს რომ განახორციელებს ყველა აუცილებელ ქმედებას, რათა მიღწეულ იქნას **მემორანდუმით** განსაზღვრული მიზნები და შედეგები, მათ შორის გამოიყენებენ მათ ხელთ არსებულ რესურსებს, გამართავენ შეხვედრებს, შექმნიან სამუშაო ჯგუფებს და მონაწილეობას მიიღებენ მათ მუშაობაში, მოიძიებენ ან/და გასცემენ შესაბამის ინფორმაციას და ა.შ.

8.3. **მხარეები** ადასტურებენ, რომ **მემორანდუმის** შინაარსი ზუსტად გამოხატავს **მხარეთა** ნებას და რომ მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა **მემორანდუმის** შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოოდენ სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობიდან.

8.4. **მემორანდუმის** რომელიმე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად **მემორანდუმის** ან/და მათი სხვა მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის ბათილობას. ბათილი დებულების ნაცვლად, გამოიყენება იმგვარი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა **მემორანდუმით** (მათ შორის ბათილი დებულებით) გათვალისწინებული მიზანი.

8.5. **მემორანდუმი** მისი ვალდებულებებითა და სარგოებით ვრცელდება და სავალდებულოა **მხარეთა** უფლებამონაცვლეების, თუ მემკვიდრეებისათვის/სამართალმემკვიდრეებისათვის.

8.6. **მემორანდუმი** განიმარტება და რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. იმ შემთხვევებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული **მემორანდუმით**, **მხარეები** იხელმძღვანელებენ

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმებით ან/და დამატებით შეთანხმებული პირობებით.

8.7. **მემორანდუმი** შედგენილია ქართულ ენაზე.

8.8. **მემორანდუმის** თითო ეგზემპლარი გადაეცემათ **მხარეებს**.

9. მხარეთა ხელმოწერები

GM	**კოოპერატორი**
მერია	**დეპუტატი**